სს „ლიბერთი ბანკის“ აქციონერთა საყურადღებოდ

სს „ლიბერთი ბანკის“ (**„ბანკი“**) აქციონერთა ყოველწლიურმა საერთო კრებამ, რომელიც ჩატარდა 2025 წლის 05 ივნისს, მხარი დაუჭირა:

ა) „ბანკის“ მიერ გამოშვებული კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციების (**„პრივილეგირებული აქცია“**) მფლობელთათვის 2024 კალენდარული წლის დივიდენდის გადახდას: და

ბ) „ბანკის“ მიერ გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების (**„ჩვეულებრივი აქცია“**) მფლობელთათვის 2025 წლის შუალედური დივიდენდის გადახდას.

„პრივილეგირებულ აქციებზე“ და „ჩვეულებრივ აქციებზე“ დივიდენდის გადახდა განხორციელდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) „პრივილეგირებული აქციების“ დივიდენდი:

- *ჯამურად გადასახდელი დივიდენდის ოდენობა განისაზღვრება 776,115.28 ლარით, რაც ერთ ცალ „პრივილეგირებულ აქციაზე“ შეადგენს 0.17 ლარს (ჩვიდმეტი თეთრი);*
- *დივიდენდის სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2025 წლის 23 ივნისი;*
- *დივიდენდის გადახდის თარიღად დადგენილია 2025 წლის 09 ივლისი.*

ბ) „ჩვეულებრივი აქციების“ 2025 წლის შუალედური დივიდენდი:

- *იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი არ იქნება დივიდენდის გადახდის წინააღმდეგი, ჯამურად გადასახდელი შუალედური დივიდენდის ოდენობა განისაზღვრება 44,409,718.00 ლარით, რაც შესაძლოა „ბანკის“ 2025 წლის ნახევარი წლის დადასტურებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მცირედით შეიცვალოს;*
- *დივიდენდის სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2025 წლის 23 ივნისი;*
- *დივიდენდის გადახდის თარიღად დადგენილია 2025 წლის 09 ივლისი.*

აქციონერთა საერთო კრებაზე ჩატარებული ღია კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგით განსაზღვრულ თითოეულ საკითხს მხარი დაუჭირა დამსწრე აქციონერთა 100%-მა.